# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/104

ქ. თბილისი

22 ივლისი 2026 წ.

**სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დიზაინის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან პროგრამებზე აკადემიური პერსონალის შერჩევის მიზნით საკონკურსო კომისიის და მისი სამდივნოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის, „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესის შესახებ" დებულების მე-5 მუხლის შესაბამისად, სტუ-ის ვიცე-რექტორის, პროფესორ თამარ წერეთლის 2026 წლის 21ივლისის სამსახურებრივი ბარათისა და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 22 ივლისის №01-05-02/12 სხდომის ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. 2026 წლის 22 ივლისს დიზაინის საერთაშორისო სკოლის ინგლისურენოვან პროგრამებზე გამოცხადებული კონკურსით გათვალისწინებულ აკადემიურ თანამდებობებზე პერსონალის ასარჩევად შეიქმნას საკონკურსო კომისია და მისი სამდივნო შემდეგი შემადგენლობით:

**საკონკურსო კომისია:**

**ი. კუტუბიძე - კომისიის თავმჯდომარე**

**დ.ხვედელიძე - კომისიის წევრი;**

**ხ.მხეიძე - კომისიის წევრი;**

**თ.ჭანტურია - კომისიის წევრი;**

**თ.ჩუბინიძე - კომისიის წევრი.**

**საკონკურსო კომისიის სამდივნო:**
**მ.მიტიჩაშვილი**
**თ.ელიზბარაშვილი**

**2**. დადგენილება გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე და განთავსდეს უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსებში თვალსაჩინო ადგილას.

**3**. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64.

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** **დ. გურგენიძე**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** **ი. კუტუბიძე**